

## თავი 24 აპლოდისმენტომეტრი

სცენას მხოლოდ პროექტორის შუქი ანათებდა, მაყურებლები აჩურჩულდნენ. ვილაცამ რიტმულად დაიწყო ტაშისკვრა და ცოტა ხანში მას სხვებიც შეუერთდნენ. დარბაზი მღელვარებამ და ხმაურმა მოიცვა. როგორც იქნა, სცენაზე შავი ბზინვარეთმიანი, ახოვანი გარეგნობის კაცი გადმოხტა. მას კაშკაშა ოქროსფერი პიჯაკი ეცვა და სახეზე ისეთი სულელური ღიმილი ეკერა, როგორიც ჯონათანს ადრე არასდროს ენახა. ეს კაცი აუტირებული ხალხის მისაღმებისას წინ და უკან იხრებოდა.

– მოგესალმებით, მოგესალმებით, მოგესალმებით! მე ვარ შოუმენი ფილი და ძალიან მოხარული ვარ ასეთ შესანიშნავ აუდიტორიასთან რომ მიწევს მუშაობა. კარგია, რომ გვეწვიეთ. რომ იცოდეთ, როგორი წარმოდგენა მოგიმზადეთ!... მოგვიანებით ჩვენ კიდევ განვაგრძობთ საუბარს, ახლა კი, თქვენს წინაშეა კანდიდატი!

ნახევრად შიშველმა გოგონებმა, რომლებიც სცენის ორივე მხარეს იდგნენ, ხელების რხევა დაიწყეს. მათ მაყურებელი აპლოდისმენტებით აჰყვა.

– მადლობა, მადლობა, დიდი მადლობა. თავდაპირველად წარმოგიდგენთ სპეციალურ ნომერს. ჩვენი დღევანდელი სტუმარია კორუმპოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. იგი აგვისხნის არჩევნების ახალ, რევოლუციურ პროცედურებს, რომელთა შესახებაც არაერთხელ გვსმენია, – ამ სიტყვებით შოუმენი მობრუნდა, ხელი სცენისაკენ გაიშვირა და ხმამაღლა თქვა:

– ახლა კი მივესალმით დოქტორ ჯულია პავლოვს!

სცენის პერსონალმა და დარბაზში მყოფმა ადამიანებმა კვლავ მხურვალედ დაუკრეს ტაში. საკუთარ განწყობას სტვენით გამოხატავდნენ. ფილმა ხელი ჩამოართვა დოქტორ პავლოვს და დარბაზს ანიშნა გაჩუმებულიყო.

– მშვენივრად გამოიყურებით, დოქტორო პავლოვ!

– გმადლობთ, ფილ, – უპასუხა მან. პავლოვს სქელი სათვალე ეკეთა, გახამებული ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა და სახეზე მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა.

– თქვენი ენთუზიაზმისთვის 5.3 ბალი დაიმსახურეთ.

– ჰეი, აქ კი მაჯობეთ, – თქვა შოუმენმა. ასისტენტებმა მაყურებლებს რაღაც ანიშნეს, მათ კი სიცილით უპასუხეს.

– რას ნიშნავს 5.3 ბალი ენთუზიაზმისთვის? – ჰკითხა ფილმა.

– ოფიციალურად ნებადართული აპლოდისმენტომეტრი მაქვს, რომელსაც თან ვატარებ. მისი საშუალებით ვგებულობ, როგორ გამოხატავს ხალხი ენთუზიაზმს.

– დაუჯერებელია არა ხალხო?

დარბაზიდან ხალხმა კვლავ აპლოდისმენტებით უპასუხა. როგორც კი ხმაური მიწყნარდა, დოქტორმა პავლოვმა განაგრძო:

– დაახლოებით 2.6 ბალია.

– საოცარია, – თქვა შოუმენმა, – ამ აპლოდისმენტომეტრით რის გაკეთებას აპირებთ? მომავალ არჩევნებში გამოიყენებთ?

– რა თქმა უნდა, ფილ. კორუმპოს საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ხმების დათვლა საკმარისი არ არის. რიცხვების გარდა სხვა რამეც არის მნიშვნელოვანი მორალის, ძალაუფლების, კეთილდღეობისა და უფლებების განსაზღვრაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენთუზიაზმიც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

– დაუჯერებელია! – წამოიძახა შოუმენმა.

ყველამ ტაში დაუკრა.

– 4.3 ბალი... – უნიათოდ თქვა პავლოვმა.

– როგორ აპირებთ ამის გაკეთებას დოქტორო?

მან სქელი წარბები სათვალის ზემოთ ასწია და მკაცრ სახეზე ღიმილი გაუკრთა.

– წლევულს ამ ქალაქში კენჭისყრის დროს აპლოდისმენტომეტრის გამოყენების პირველი შემთხვევა იქნება. საარჩევნო ბიულეტენის შევსების ნაცვლად

ამომრჩევლები დადგებიან კაბინებში და ტაშს დაუკრავენ მაშინ, როდესაც მათთვის მისაღები კანდიდატურის სახელის გვერდით ნათურა აინთება.

– თავად კანდიდატები რას ფიქრობენ კენჭისყრის ახალ პროცედურაზე? – იკითხა ფილმა.

– ო, მათ ძალიან მოსწონთ ეს, ფილ. ამ ცვლილებისთვის ამომრჩევლების მომზადებაც დაიწყეს, ხანგრძლივ შეხვედრებს მართავენ და პირობას დებენ, რომ საკუთარი კამპანიისთვის სხვის ფულს დახარჯავენ. ამ შეპირებებით მიზანს ყოველთვის აღწევენ.

– დიდი მადლობა, რომ გვეწვიეთ და უკეთესი ხვალინდელი დღის იმედი მოგვეცით. იმედი მაქვს, კიდევ გვეწვევით. ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმით დოქტორ ჯულია პავლოვს!

როდესაც დარბაზი საბოლოოდ დამშვიდდა, შოუს წამყვანმა კვლავ გაიშვირა ხელი კულისებისკენ.

– ახლა კი დადგა ის წუთი, რომელსაც ჩვენ ყველანი ველოდით. მოდით მივესალმით ჯოს, კიდევ ერთ კანდიდატს, რომელიც პირდაპირ საარჩევნო უბნებიდან გვეწვია!

ჯომ ორივე ხელი ფართოდ გაშალა და ათლექტურად გაიარა სცენაზე. იგი მაყურებლისკენ ღიმილით იყურებოდა. კანდიდატს თეთრი და შავი კუბოკრული პიჯაკი ეცვა. ჯონათანმა გაიფიქრა, რომ მას ძალიან შავი თმა და ისეთი თეთრი კბილები ჰქონდა, რომ პროექტორის შუქზე მეტად ანათებდა.

– დიდი მადლობა ფილ. ნამდვილად უდიდესი სიამოვნებაა ჩემთვის, რომ თქვენთან ვარ ჩემო ძვირფასო ხალხო.

– ახლა კი ჯო, შენ მგონი რაღაც გაქვს ჩვენთვის სათქმელი. ყველა განაცვიფრე, როდესაც გაზეთების პირველ გვერდზე გაჩნდი კუნძულის ბოლო ათწლეულის ყველაზე სენსაციური მასალით. აბა რა ამბავზე იყო საუბარი?

– როგორც ყოველთვის, გამოიცანი ფილ! სწორედ ეს მომწონს შენს შოუში! როგორც იცით, ბოლო წლებში მეტად აქტიურად ჩავები საარჩევნო კამპანიებში. ძალიან მაწუხებდა ის ფაქტი, რომ მეტისმეტად ბევრი ფული იხარჯებოდა ამ საქმეში. გადავწყვიტე, რაიმე მეღონა ამისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დიდი კუნძულის ამომრჩევლები თავიანთი ფულის სანაცვლოდ მეტის მიღებას იმსახურებენ. მაშინ გადავწყვიტე გვაროვნული პარტია ჩამომეყალიბებინა.

– გვაროვნული პარტია! რა შესანიშნავი იდეაა! თავადაც შეიცვალე სახელი, არა?

– მართალი ხარ ფილ. ჩემი ნამდვილი სახელით – ელიუ რუთ<sup>2</sup>-ით ვერასოდეს შევძლებდი კანდიდატი ვაგმხდარიყავი. ჩემი დევიზია – „დამალე შენი ფესვები“!

იმპროვიზებულმა ნათქვამმა სიცილი გამოიწვია.

– ისე, ფილ, სერიოზულად რომ ვთქვათ, – განაგრძო ჯომ, – ნდობა რომ დაიმსახურო, ხალხისთვის მიმზიდველი უნდა გახდე.

– რის გაკეთებას აპირებთ, ჯო?

– გვაროვნული პარტია სულ მალე შავ-თეთრი სარეკლამო ფურცლების გავრცელებას აპირებს. გვექნება სამკერდე ნიშნები, პლაკატები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა ადგილობრივ სავაჭრო წერტილში. ვფიქრობ, ჩვენი იდეის დახმარებით საარჩევნო კამპანიის ბიუჯეტი განახევრდება.

– წინასაარჩევნო პროგრამა თუ გაქვთ? – შეაწყვეტინა ფილმა.

– რა თქმა უნდა, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ პარტიებს, – თქვა ჯომ. მან კუბოკრული პალტოს ჯიბიდან ფურცლები ამოიღო. – აი ჩვენი ოფიციალური დებულება დანაშაულისა და სიღარიბის შესახებ.

– კი მაგრამ, ჯო, ეს ცარიელი ფურცლებია, – თქვა გაოცებულმა ფილმა.

– სწორედ ამაშია მისი ხიბლი, ფილ, ვერ ხედავთ? რისთვის დაგკარგოთ დრო დაპირებებში? რატომ არ შეიძლება ამომრჩევლებმა თვითონ შეავსონ ეს

<sup>2</sup> ინგლ. root- ფესვებს ნიშნავს

ფურცლები? დაპირებები და შესრულება იგივე დარჩება – უბრალოდ ამობეჭდვის ხარჯებს დაეზოგავთ.

– რა გონივრულია! ვიდრე სხვა კანდიდატები საარჩევნო კამპანიის ხარჯების შემცირებაზე დაპირებებს იძლევიან, თქვენ ამას უკვე რეალურად ახორციელებთ. სამწუხაროდ, ჩვენი დრო იწურება. შეგიძლიათ დასკვნის სახით გვითხრათ რაიმე თქვენი პარტიის შესახებ?

– რა თქმა უნდა ფილ, ჩვენი პარტია უკვე მთელს კუნძულზე ავრცელებს იდეებს. ჩვენი ლოზუნგია „ჩვენ გვჯერა იმის, რაც თქვენ გჯერათ!“

– დიდი მადლობა, ჯო. ქალბატონებო და ბატონებო, თუ შეგიძლიათ, მთელი 5.5 ბალიანი ენთუზიაზმით გავაცვილოთ ჩვენი კანდიდატი ჯო!